პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი პირველი.

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

**26 ივლისი
სამშაბათი**

1918 წ. გერმანიის დამოუკიდებელ სოც.-დემ. გაილაშქრეს ომის წინააღმდეგ და ხმა მისცეს სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ.

1971 წ. სიკვდილის დასჯის კანონის აღდგენა კერენსკის მიერ.

1826. ჩამოხრჩობილი იქნენ დეკაბრისტები: პესტელ, რილეევი, მურავიოვი და სხვა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4,
ტელეფონი №

დღიური:

— უმაღლესი საბჭოს მოწვევა განზრახულია 15 აგვისტოსათვის.

— ამერიკიდან დაბრუნებულმა მუშებმა მოაწყეს პეტერბურგში საუცხოო ფაბრიკა.

— გერმანიაში იზრდება [illegible] მუშათა გაფიცვა.

— დანიის სამრეწველო [illegible] დამოკიდებულების განხილვა [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 118 სამშაბათი, 26 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი. სამშაბათი, 26 ივლისი, 1921 წ. № 118

„ორკვირეულის" გატარების წესი.

დღეს

რაიონული კრებები — პარტია და პროფკავშირები.

1 რაიონი, ნაძალადევის თეატრი მომხსენ. ამხ. კაკაბაძე. 2 რაიონი, ცენტროკლუბი მომხსენ. ამხ. ვირაბი. 3 რაიონი, ავლაბრის კლუბი მომხს. ამხ. მაშკევიჩი. 4. არტისტიული საზოგადოება მომხსენ. ამხ. ფიგატნერი. 5 რაიონი, მუსულმანთა აუდიტორია მომხსენ. ამხ. კოგობერიძე.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ოთხშაბათი

შეცადინეობა იაჩეიკებში. უკვე გაკეთებულ მოხსენებების გარჩევა.

ხუთშაბათი

რაიონული კრებები — პარტია და უპარტიონი.

1 რაიონი, ნაძალადევის თეატრი მომხსენ. ამხ. ორახელაშვილი. 2 რაიონი, ცენტროკლუბი მომხსენ. ამხ. ივანოვი. 3 რაიონი, ავლაბრის კლუბი მომხსენ. ამხ. გოგობერიძე. 4 რაიონი, არტისტიული საზოგადოება მომხსენ. ამხ. რუბენი. 5 რაიონი, მუსულმანთა აუდიტორია მომხსენ. ამხ. ფინენკო.

პარასკევი

ქალაქის საერთო პარტიული კრება (სახ. სახლის ბაღში). 1. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება — ამხ. ორჯონიკიძე და ელიავა. 2. ნაციონალური საკითხი—ამხ. მახარაძე და ორახელაშვილი.

შაბათი

მოხსენების გარჩევა იაჩეიკებში.

ორგკომი.

მზად ვართ თუ არა ზამთრისათვის?

სათბობი მასალის საკითხი მწვავედ დგას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. თუ ჩვენი რკინის გზები და საწარმოო დაწესებულებები საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან და იქნებიან კიდევ აზერბეიჯანის ნავთით და მაზუთით, სამაგიეროთ ქალაქის შრომელთა ფართო მასსების უზრუნველყოფა საზამთრო შეშით და ნახშირით ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანაა. გვექნება თუ არა საზამთროდ საკმაო შეშა და ნახშირი? სულ ორიოდე თვე დაგვრჩენია ამ მასალის დასამზადებლად, სეზონი უკვე თავდება თითქმის და ჩვენი მუშაობა ტყეში კი ვერ სწარმოებს სათანადო სისწრაფით და ნაყოფიერებით. ჩვენი სატყეო პოლიტიკა სწორია და შეგუებული ჩვენს საზოგადო პოლიტიკასთან, მაგრამ მას აკლია ერთი თვისება, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა: მას აკლია სისწრაფე, ტემპი. ბევრი დამაბრკოლებელი გარემოება ეღობება წინ შეშის დამზადების საქმეს, [illegible], მაგრამ თუ გვინდა ზამთარს შევხვდეთ მომზადებულად, თუ გვინდა მშრომელთა მასსებს ავაცდინოთ სიცივე, თუ გვინდა წარმოებას არ ჩამოვაშოროთ მწარმოებელნი, თუ გვინდა სახლები არ გავანადგურებინოთ ყინვას—ახლავე უნდა მოვიკრიბოთ ყველა ძალები და საშუალებები და გავაჩაღოთ ტყეში მუშაობა. ყოველ მიზეზის გარეშე, ყოველ დაბრკოლების წინააღმდეგ ჩვენ უნდა გამოვნახოთ საჭირო თანხა და მასალა, უნდა გავისტუმროთ ტყისკენ ახალ-ახალი ასეულები და ათასეულები.

თუ საჭიროა და აუცილებელია, ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ ჩვენი სატყეო პოლიტიკის ნაწილობრივ შეცვლასაც: კერძო მწარმოებელს გზა უნდა მივცეთ ტყისაკენ, შეშის დასამზადებლად, თუ კი სეზონის გათავებამდე ის მოგვაწოდებს დროზე ტყის მასალას. მარტო სატყეო კომიტეტის იმედით ყოფნა არ კმარა, ზამთრის საშინელ მოთხოვნას მარტო ჩვენი „სოვნარხოზი" ვერ შეასრულებს. მაგრამ პოლიტიკის ნაწილობრივ შეცვლასა, კერძო ინიციატივისათვის ხელის შეწყობასა და წახალისებას თან უნდა ახლდეს ძირითადი პოლიტიკის სისწორით და მტკიცედ გატარება. ამ პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედათ აღიარებულ უნდა იქნას შრომის ბეგარა ქალაქის მუქთა-ხორა, პარაზიტულ ელემენტებისათვის.

„ვინც არ შრომობს ის არც სჭამს"—ამბობს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ გაგვიტარებია ცხოვრებაში ეს დებულება. ჩვენში, უმთავრესად ქალაქებში მრავალი პარაზიტული ელემენტები არ შრომობენ, ჭამით კი მშრომელებზე უკეთ სჭამენ. ასეთი ელემენტები უნდა გავისტუმროთ ტყისკენ, შეშის დასამზადებლად. ჩვენი ქალაქების განტვირთვაც გაადვილდება ამ გზით და საზამთროდაც უზრუნველყოფილი ვიქნებით.

საბჭოთა რუსეთის პრესა

კლასიურ ძალთა გადაჯგუფება და გათიშვა კადეტების პარტიაში.

კადეტების პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე მოხდა ფორმალური გათიშვა ამ პარტიაში. უმრავლესობა, ვ. დ. ნაბოკოვის მეთაურობით იცავდა (და კიდევაც დაიცვა) გენერლების დიქტატურაზე უშუალო ორიენტაციის „ძველ ტაქტიკას": უმცირესობა, პ. ნ. მილიუკოვის მეთაურობით ანვითარებდა „ახალ ტაქტიკას", რომლის ლოზუნგით კადეტი—პროფესორი ფრიად მოხერხებულათ უუგებოდა კრონშტადტის ამბებსაც. რუსეთის კონტრრევოლიუციის უმთავრესი შტაბის ამ დანგრევას და დაქსაქსვას აქვს ღრმა შინაური მიზეზები, რომლის შესახებაც ვიტყვით ქვემოთ. ეს მალე გამოაშკარავდა „ნაციონალური გაერთიანების სიეზდზე", რომელსაც მილიუკოვის მიმდევრები არ დაესწრნენ, მაგრამ რომელზედაც მილიუკოვის გაზეთის („პოსლედნიე ნოვოსტი" № 352) სიტყვით „კადეტების უმრავლესობის მეთაურმა გმირმა, ვ. დ. ნაბოკოვმა მიიტანა და ფეხით დაუწყო სიეზდს 2 ივნისს თავის საკუთარი პარტიის ნამტვრევები". კადეტების პარტიის სრული დაქსაქსვის ფაქტს არავინ არ უარყოფს, ხოლო გაფთრებული კამათი „პოსლედნიე ნოვოსტი"-სა და „რულ"-ს შორის არის ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოხატულება ამ დაქსაქსვის.

რა ნიადაგზე მოხდა უთანხმოება ჩვენი ყველაზე უფრო ჭკვიანი მტრების ბანაკში?

„ნაციონალური გაერთიანების სიეზდზე" ყველაზე უფრო გავლენით სარგებლობდა მეფის დროის ხაზინის გამქურდავი, ცნობილი ცოლლუტი, ეპოლეტიანი [illegible], ნეტარხსენებული სტოლიპინის მარჯვენა ხელი, ვ. გურკო. აი როგორ გადმოგვცემს გაზეთი „პოსლედნიე ნოვოსტი" ამ გმირის მიერ წარმოთქმულ სიტყვას უმთავრეს საკითხზე, მიწის შესახებ:

„ვ. გურკო ამტკიცებს, რომ მიწის ჩამორთმევით და მისი გადაყოფით ზიანი მოუვიდათ არა მარტო პომეშჩიკებს, არამედ შეძლებულ გლეხებსაც. მე არ ვიძლევი წინადადებას—ამბობს ის—ისევ ჩამოვართვათ გლეხებს მიწები. ჯერ ჩვენ აქამდე არ მივსულვართ (სიცილი) მივალთ კი აქამდისაც. (სიცილი და ტაშის ცემა). მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ კი, რომ რუსეთის აღორძინება შეუძლებელია იქ არსებული მიწის განაწილების წესის გამო".

ვ. გურკომ [illegible] სიეზდზე მყოფ კადეტებს იმისთვის, რომ მათ შეითვისეს დაბოლოს მისი თვალსაზრისი, რომელსაც იცავდა ის „პირველ სახელმწიფო დუმაში ხუთმეტიან წლის წინეთ".

რაში მდგომარეობს სოციალური მნიშვნელობა ამ თვალსაზრისის? ის გულისხმობს მხოლოდ პომეშჩიკების და ძველი ბურჟუაზიის ნაწილის შეერთებას, რომელიც სრულიად არ უწევს ანგარიშს რუსეთში მომხდარ უდიდეს ცვლილებებს.

მეორე, მილიუკოვის მომხრე ნაწილის ბურჟუაზიისა სურს შეერთება ახალ სოფლის მეურნე ბურჟუაზიასთან ე. ი. კულაკებთან. ვინაიდგან გლეხს ვერ წაართმევ მიწას. უნდა დაიმარცხო ის კაპიტალის შემწეობით; მას უნდა ჩამოართვა მიწა კულაკებზე დაყრდნობით „ეკონომიურ-ევოლიუციონური" გზით. პ. მილიუკოვმა გამოხატა ეს აზრი ფორმულით: „დემოკრატიული პარტია პირველ ყოვლისა ეს არის პარტია გლეხების (იგულისხმე კულაკების)".

პირველი „ორიენტაცია" პოულობს გამოხატულებას კადეტების უმრავლესობის შეერთებაში მონარქისტებთან; მეორე—მილიუკოვის მიმდევრების შეერთებაში სოციალისტ-რევოლიუციონერებთან. ეს უკანასკნელები არაჩვეულებრივი სისწრაფით ხდებიან სოფლის მეურნეობის კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზიის პარტიად; მათი „სოციალისტური" პირობადი იგივე არის როგორც ეგრედ წოდებული „რადიკალ-სოციალისტების" საფრანგეთში. საკმაოა გადაათვალიეროთ მათი გამოცემები, სადაც პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და კონტრრევოლიუცია თავდება [illegible] ქებადიდებით (წერილები „სოვრემენი, ზაპისკი") რომ დარწმუნდეთ ამაში. მაგრამ ასეთ პარტიას, ესაჭიროება უფრო ჭკვიანი უპირველეს ყოვლისა იდეური, ხელმძღვანელ-ორგანიზატორები. კულაკურ მეწვრილური პარტია პოულობს მათ ეგრედ წოდებულ პროგრესიულ ბურჟუაზიის ლიდერებში. ეს არის სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და მილიუკოვის ბლოკი. როდესაც საბოლოოთ შეიკვრება ეს ბლოკი ჩვენ გვეყოლება ცოტათი თუ ბევრათ დასრულებული საფრანგეთის რადიკალ სოციალისტების მსგავსი პარტია მილიუკოვებისა და აქსენტიევების მეთაურობით. აქეთკენ არის მიმართული ამბების მსვლელობა.

თავის თავად ცხადია, რომ როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" ნაწილი კონტრრევოლიუციისა გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ და ორივე ნაწილი შეკავშირებით გამოდიან შეერთებული ძალით. ბრძოლა გავლენისათვის საშუალო გლეხობაზე—აი ეს არის ძირითადი შინაარსი უახლოესი ისტორიული ხანის. ჩვენ უნდა ვიხმაროთ ყოველი ღონე, რომ ჩავშალოთ როგორც ტლანქი (ცდა გურკო-ნაბოკოვს), ისე მოხერხებული ღონები მილიუკოვ-აქსენტიევის.

„პრავდა".

ამხანაგებო! წაიკითხეთ ახალი ბროშურა: „კომუნიზმის მორიგი კითხვები ამიერ-კავკასიასა და საქართველოში" ამხ. სტალინ ჯუღაშვილის.

ქალაქის განტვირთვისათვის

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ა. წ. ივლისის 14-ის დადგენილება ქ. ტფილისის განტვირთვის შესახებ, მეტად დროულად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. მართლადაც, დღეს ჩვენ მეტად ძნელ მომენტში გვხვდება ცხოვრება. სასურსათო, საბინაო და წყლის კრიზისმა მიაღწია უმაღლეს წერტილს და საშინელ საფრთხეს გვიმზადებს ჩვენ. მოკლებული ვართ ყოველგვარ საშუალებას უზრუნველვყოთ მუშა ხალხის მდგომარეობა და ნახევრად დამშეულ მუშასათვის ვერ მოგვიჩენია ხეირიანი საცხოვრებელი ბინა და ვერ მოგვიწოდებია მისთვის წყლის საჭირო რაოდენობა. ასეთ ძნელ მომენტში ყოველ ზედმეტ მჭამელს აქვს დიდი მნიშვნელობა. თუ რამდენად საგრძნობელია რაოდენობა ამ მუქთახორებისა და პარაზიტებისა—ყველამ იცის, ვისაც კი ერთხელ მაინც გაუვლია შოთა რუსთაველის პროსპექტზე. აღარავისთვის საეჭვო არ არის ის, რომ ტფილისში დღეს მცხოვრებთა საერთო რიცხვი, თუ მხედველობაში მივიღებთ ლტოლვილებს საერთოდ შემოხიზნულ ელემენტებს და ჯარს—აღემატება 500,000 სულს, მაშინ როდესაც 1914 წლის აღწერით თბილისში ითვლებოდა 247,000, ე. ი. მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა ორჯერ უფრო მეტად. ამავე დროს ჩვენი რესურსები შედარებით 1917 წელთან, ამ საერთო ნგრევის ხანაში კი არ გაიზარდა მცხოვრებთა რაოდენობასთან ერთად, არამედ რამდენჯერმე შემცირდა კიდეც, აქედან ცხადია, რომ სასურსათო, საბინაო და წყლის კრიზისი, საერთო მიზეზების გარეშეც, უნდა შექმნილიყო მექანიკურად მცხოვრებთა რაოდენობის გაორკეცების გამო.

ასე მაგ: 1917 წელში თბილისში ითვლებოდა 133.200 ოთახი, მცხოვრებთა რიცხვი კი, როგორც ზემოთაც ვთქვით 247.000-ს არ აღემატებოდა. მაშასადამე, ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 539,6 ოთახი,—ახლა კი ეს ციფრი უნდა შემცირდეს ორჯერ ე. ი. დაახლოებით 268 ოთახამდე. იგივე ითქმის სურსათისა და წყლის შესახებ. ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი მცირე რესურსებით, ჩვენ თურმე შეგვეძლო გაცილებით უკეთესად გამოგვეკვება ქალაქის მცხოვრებნი, ვიდრე ეს მოსახერხებელია ამჟამად.

განა ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ამგვარი მდგომარეობის ატანა? განა შეგვიძლია შევურიგდეთ იმ გარემოებას, რომ უსაქმური მუქთამჭამელა ხალხს წყალობით მშრომელ მცხოვრებთ არ ქონდეთ საკმარისი სასმელ-საჭმელი?

რა თქმა უნდა—არა.

ეხლა ვიკითხოთ რამდენია ქალაქში მშრომელი მცხოვრები?

შრომის სახალხო კომისარიატის ცნობებით ქალაქში ამჟამად ითვლება არა უმეტეს 30.000 მუშა-მოსამსახურისა, და თუ ამ რიცხვს მივუმატებთ მათი ოჯახის წევრებსაც, გახდება სულ 160.000 სული. ამ კატეგორიაში უნდა მოვაქციოთ აგრეთვე ლტოლვილნიც და წითელ არმიელები, რომელთა რაოდენობა არ აღემატება 100.000 კაცს. თუ ამას მივუმატებთ იმ ელემენტს, რომელიც დღევანდელ შრომებში ცნობილია საშრომ ელემენტად, ე. ი. ვაჭარ-მრეწველთა, მათი რიცხვი, როგორც ეს გამოანგარიშებულია კომპეტენტური ორგანოების მიერ, არ აღემატება 10.000 კაცს, ხოლო მათი ოჯახის წევრებით კი—40—50 ათას კაცს.—მაშინ მთელი რიცხვი ელემენტებისათვის საჭირო მცხოვრებთა ე. ი. მუშებისა, მოსამსახურეთა, წითელ—არმიელთა, და ვაჭარ მრეწველთა — იქნება დაახლოვებით 300.000. იმ 500.000 მცხოვრებიდან, რომელიც ამ ჟამად ითვლება ქალაქში.

ვინ არის დანარჩენი 200.000?

—სწორედ ეს არის ის ხალხი, რომელიც დილიდან საღამომდე სტკეპნის რუსთაველის პროსპექტს და ავრცელებს ათასგვარ ჭორებს.

აი, ესენი არიან ის სპეკულიანტები, რომლებიც ქალაქის შემოსავალში ხვდებიან სოფლის გლეხებს, ყიდულობენ მათგან სანოვაგეს და შემდეგ ერთი ორად და ერთი სამად ასაღებენ ქალაქის მცხოვრებლებზე.

სწორედ ესენი არიან ის პარაზიტები, რომლებიც სწოვენ ქალაქის, ისედაც ძნელ სხეულს. და, აი სწორედ ამათზე უნდა გავრცელდეს გამოცემული დეკრეტი მთელი თავისი რევოლიუციონური სისასტიკით. სწორედ ესენი უნდა იქნენ განდევნილი ქალაქიდან, რომ ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს აუტანელი ცხოვრების სიმძიმე მშრომელ ელემენტებს.

ამ საპატიო როლის ასრულებას დეკრეტი ავალებს საუწყებათაშორისო კომისიას.

როგორც გავიგეთ ეს კომისია ჯერ კიდევ არ შეკრებილა და არავითარი მოსამზადებელი, ღონისძიებანი არ შეუმუშავებია. ამავე დროს ხანის დაყოვნება შეუძლებელია. საჭიროა სასწრაფოდ იქნას აღრიცხული ის ელემენტი, რომელმაც უნდა დასტოვოს ქალაქი, საჭიროა გაიმართოს მოლაპარაკება რკინის გზასთან, რათა შემუშავებულ იქნას წესი ამ ელემენტის გასაყვანად და სხვა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხსენებული კომისია არ დააყოვნებს და დროზე შეუდგება მისთვის დაკისრებულ მეტად რთულ, მაგრამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვალეობის ასრულებას.

ი. წ.

ფინანსიური საკითხები

წინა წერილში (იხ. „კომ." № 160) ჩვენ შევეხეთ თუ რა დამოკიდებულება აქვს ურთიერთშორის ხარჯთაღრიცხვაში ემისიას, შემოსავალს და გასავალს, ჩვენ მაშინ გამოვდიოდით ფორმულიდან „შ" (შემოსავალი) + „ე" (ემისია) = (უდრის) „გ" (გასავალი). ეს ფორმულა სავსებით გამოხატავს ბიუჯეტს.

სიტყვა ბიუჯეტი ნიშნავს ფულიან ტომარას, რომლითაც ინგლისის ფინანსთა მინისტრი შედიოდა დეპუტატთა პალატაში და აძლევდა იქ ანგარიშს. გადატანილი აზრით ის ნიშნავს წლიურ ხარჯთ აღრიცხვას (გასაწერი—роспись). ბიუჯეტს, მის შედგენას და შესრულებას ყოველ ხანაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ის წარმოადგენს სახელმწიფოებრივი საქმიანობის გეგმას, მოქმედების ხასიათს; მისი გარჩევა ნათლად ჰფენს მმართველობის ხელისუფლების ზრუნვას მცხოვრებლებზე, მათ ინტერესებზე. მართალია ბიუჯეტი წინა კაპიტალისტურ ხანებში არ იყო ისე, როგორც ეხლა ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი; ხშირად მიწის მფლობელმა მეთავარმა იცოდა რამდენი სამუშაო კაცი, რამდენი მხედარი მას სჭირდა, რომ თავი და თავისი მიწები გამოეკვება და მტრისაგან დაეცვა. მცხოვრებთ ეს საშუალება მისთვის უნდა მიეცათ ნატურით. ეს იყო ნატურალური ბიუჯეტი. კაპიტალისტურ ხანაში ბიუჯეტი ღებულობს უფრო გათვალისწინებულ - ვრცელ გეგმას, ანგარიში, რუსეთის ბიუჯეტის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, რომ ბიუჯეტი განიხილეს, დაამტკიცეს და შეასრულეს 1862 წელში; მანამდე ცალკე უწყება ხარჯავდა თანხებს უსაფუძვლოდ, არ იყო ერთი გეგმა, არ ასრულებდა და არ ექვემდებარებოდა ხარჯ-აღრიცხვას, თავის შეხედულებით გზავნიდა ერთი დანიშნულების კრედიტს მეორეში, აგროვებდა ნაშთებს და სხვა. 1862 წელში პირველად გამოაქვეყნეს ბიუჯეტი და 1866 წ. პირველად სახელმწიფო კანტროლის ქვეშ გაატარეს. რასაკვირველია ყველა ეს გაუთვალისწინებელი ზომები გამოწვეული იყო ფინანსიური უმწეო მდგომარეობით. სახელმწიფო ვალმა ზედ მიწევნით გაიზარდა, 1880 წელში იგი უდრიდა 4 698,5 მილიონ მანეთს; 1857 წლის შემდეგ, როდესაც კრედიტის მიღებების და ხურდავება მოისპო 40 წლის განმავლობაში რუსეთის მეურნეობა საზრდოობდა ქაღალდის ფულის გამოშვებით; მანეთის ფასი ძლიერ დაეცა. მხოლოდ გადასახადთა სისტემის შეცვლით 1881 წელში, უფრო 1887 წელში კარგი მოსავლის შემდეგ, რუსეთის კრედიტმა ევროპის კაპიტალისტთა თვალში ძლიერ აიწია, ბანკებში დაგროვდა ოქრო ნასყიდობით შეძენილი; ამან მისცა საშუალება საზღვარ გარეთელი მეტალიური [illegible] გადასტუმრებით; შემდეგ 4 წლის მოუსავლიანობამ ხელ ახლად და ერთბაშად ყირამალაზედ დააყენა რუსეთის ფინანსი.

რუსეთის ბიუჯეტის ისტორია თითქმის ტიპიური კაპიტალისტური ეპოქისათვის. „ფინანსიურმა პოლიტიკამ არ უნდა გაუწიოს ყურადღება დან არა სასურველი შედეგები თავის შეკვეცებისა მომწიფებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. პირიქით თავის ამოცანად მან უნდა დაისახოს გონივრულად ხელის შეწყობა ეკონომიური წინსვლისა და წარმოების ძალთა განვითარებისათვის".

ფინანსიური მეურნეობის სწორის გზით მსვლელობისათვის საჭიროა ბიუჯეტის თანასწორობა, შემოსავლის ბიუჯეტი სჭარბობდეს გასავლისას. როგორც ნათქვამიდან ჩანს ისტორიულად კაპიტალისტურ ხანაში ბიუჯეტი და მისი ფინანსიური გამოხატვა მეტად სუსტს, ფაქიზს, მეტად გრძნობიერ ბალანსს წარმოადგენს და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ბიუჯეტის ანალიზი გვაჩვენებს, რომ იგი შესდგება შემოსავლისაგან, რომელიც უდრის ან მეტია გასავალზე; შემოსავლიდან რომ გამოვიდეთ ემისია და სესხი, დაგვრჩება პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადები. პირდაპირი გადასახადი წესდება მიწაზე, ბინაზე, სულზე, ქონებაზე შემოსავლის რაოდენობის მიხედვით და მემკვიდრეობაზე; არაპირდაპირი: არაყზე, თამბაქოზე, საქონელზე, შაქარზე, ღვინოზე (ბაჟი). მოხმარების საგნებზე ბურჟუაზიული ფინანსიური პოლიტიკები ამ ორ ჯგუფს გადასახადისას სასტიკ ანგარიშს უწევენ. ისინი ყოველთვის ცდილობდენ პირდაპირი გადასახადი არა პირდაპირი გადასახადით შეეცვალათ, ე. ი. ბეგარა დაედვათ მშრომელ ხალხზე. არაპირდაპირი გადასახადი 1867—1897 წ. რუსეთში იყო 85,5 პროც. მცხოვრებთა.

გადასახადი ჯამისა, 49,6 პროც. სახელმწიფოს მთელის შემოსავლისა. შესაფერი ციფრები საფრანგეთისა არის 7550 პროც. 73,44,8. პროგრესიული შემოსავლით გადასახადი, რომელიც სამართლიანი არის, დაარსდა რუსეთში 1917 წელში, ისიც რევოლიუციის ზედაწოლით. მსხვილი მრეწველი და ვაჭარი წინააღუდგენ მის შემოღებას, სულ დიდი ქონების პატრონი დარჩა სრულიად დაუბეგრავი. სამაგიეროთ ჩვენ ვიცით თუ რა ადვილათ შემოიღეს „მთვრალი ბიუჯეტი", რომელიც წარმოიშვა არაყის გაყიდვის მონოპოლიისაგან, „მთვრალი" ბიუჯეტი შეადგენდა ერთ მესამედს მთელი ბიუჯეტისას, სულ არაპირდაპირი გადასახადი მოდიოდა 9,83, არაყი 5,32; რასაკვირველია ქვეყანას დი გადასახადს აქვს თავისი შესაფერი ეკონომიური საფუძველი, საზოგადოებრივი სტრუქტურა, რასაც სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს ფინანსიურმა პოლიტიკამ. არა ნაკლებ საყურადღებო და საპასუხისმგებლო იყო ბურჟუაზიული ფინანსისტებისთვის გადასახადთა სახით მოგროვილი ფული დახარჯულიყო მქონებელ კლასთა სასარგებლოდ; თუ გადასახადთა აკრეფაში ისინი ცდილობდენ მთელი სიმძიმე ბეგარისა მომხმარებელთა კისერზე გადაედვათ, აქ, გასავლის ბიუჯეტის შესრულებაში, ისინი თავის გაბატონებულ კლასის სასარგებლოდ იწოდენ. ეგრედ წოდებული „ხარჯი კულტურისა და შემქნილ მოთხოვნილებაზე" არის 17,4 პროც. მთელი 3.296 მილიონი მანეთისა 1914 წლ. ხარჯის ჯამისა, მათ შორის განათლებას 7,4 დანარჩენი სასულიერო, სამხედრო შეადგენს 10 პროც.; სულ დიდი ნაწილი ხარჯის ჯამისა 82,6 ფარავს სახელმწიფო ვალდებულებას: სესხს, თავდაცვას და სხვა ამგვარ ხარჯებს, რომელიც გაბატონებულ კლასების მდგომარეობას უზრუნველყოფს და ამტკიცებს. რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ 1918 წლის ივლისში შესდგა ბიუჯეტი იმავე წლის პირველ ნახევრისა. ბიუჯეტის შედგენის დაგვიანების მიზეზი იყო რევოლიუციონური ხანა, რომელსაც რუსეთი განიცდიდა, ეს ბიუჯეტი წარმოადგენდა წინ დასახულ გეგმას კი არა, არამედ შესრულებულ ბიუჯეტს. ამ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი განსხვავდება კაპიტალისტურისგან იმით, რომ ჩვეულებრივი შემოსავლის შემადგენელ წყაროების აბსოლიუტური ციფრი ნავარაუდევი ბიუჯეტის ჯამის 1/6, დეფიციტი 5/6, ეს დეფიციტი დაიფარა ფულის გამოშვებით.

ემისიით ხარჯების დაფარვა დიდი მასშტაბით იყო პრაქტიკაში როგორც რუსეთში ისე საფრანგეთში, იაპონიაში და სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანაში უფრო გასავლის ბიუჯეტმა განიცადა ცვლილება, ვიდრე შემოსავლისამ; ორი-მესამედი ჩვეულებრივი ხარჯებისა იყო ნავარაუდევი ომისაგან დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად, მათ შორის, ტრანსპორტის, წარმოების, საქონლის გაცვლა გამოცვლის და სასურსათო კითხვის მოსაწყობ-მოსაწესრიგებლად და სხვა. ჩვენ საუბედუროდ ხელთ არ მოგვეპოვება შემდეგი წლების ბიუჯეტები, რომ გავარკვიოთ, თუ როგორი ნაბიჯით მიდიოდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ეკონომიურ-ფინანსიურ სფეროში. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ეკონომიური პოლიტიკა შეუთანხმეს გარდამავალ სოციალისტურ ხანას; ეს ეკონომიური პოლიტიკა გულისხმობს წვრილი მრეწველობა—ვაჭრობას, სახელმწიფოებრივი მსხვილი წარმოების, კონცესიების, გაუმჯობესობა განვითარებას სასურსათო გადასახადის შემოღებას. ამნაირი ეკონომიური პოლიტიკის მისაღებად დღეს დღეობით საქართველოც მზად არის; დღეს ყოველმა მუშა-გლეხმა-მოსამსახურემ და უფრო შეძლებულთა უნდა შეიტანონ თავისი წვლილი სახელმწიფო სალაროში. სახელმწიფოებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამნაირი ფინანსიური პოლიტიკა, როგორც ზემო ფორმულიდან ჩანს, ემისიას შეამცირებს და ნამდვილ ეკონომიურ პოლიტიკაზე იქნება დაყრდნობილი. ეს უნდა შეიგნოს ყველამ, ვინც კი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას ცდილობს, და არ უნდა დაივიწყონ, რომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დაცემა ნიშნავს შავი რეაქციის წარმოშობას და მასში ჩვენი ჩახჩობას.

ვლ. კორძაია.

საზარინის ხმარება და მისი შედეგი

დღეს საზარინის შესახებ ლაპარაკს ხშირათ გაიგონებთ ხოლმე. ზოგი ამბობს საზარინმა გული დამიწყუტა, ზოგი მეხლების ტკივილს უჩივის, ზოგიც კუჭისას და სხვა. საინტერესოა რამდენათ მართალია ეს ლაპარაკი.

საზარინს როგორც უკვე ყველამ იცის აქვს მეტათ ტკბილი გემო, მისი სიტკბო გაცილებით აღემატება ჭარხლის და ლერწმის შაქრის სიტკბოს, უკანასკნელების სიტკბო სრულებით ქრება მაგალითად თუ ავიღებთ ერთ ნაწილ შაქარს და სამას ნაწილ წყალს, საზარინის სიტკბო კი ერთი ასიათასზედაც რომ ავიღოთ მაინც საგრძნობია. თუმცა საზარინის გემო რამდენიმედ განსხვავდება ჭარხლისა და ლერწმის შაქრისაგან, მას ოდნავ არა სასიამოვნო გემო აქვს. გარდა ამ თვისებისა საყურადღებოა, რომ საზარინს აქვს აგრეთვე სუსტი, მაგრამ მაინც ანტისეპტიური თვისება.

ძლიერ ბევრმა დაკვირვებამ ცხოველებზე და ადამიანზე იმ დასკვნამდი მიიყვანა მკვლევარნი, რომ საზარინი არაა საწამლავი. [illegible] და მოზრდილ ადამიანზე თითქმის ხუთი გრამის საზარინი თითო მიღებაზე, მაგრამ ორგანიზმში არავითარ პატოლოგიურ მოვლენას ადგილი არა ქონდა. სცადეს აგრეთვე ცხოველზედაც, მაგალითად ძაღლს მისცეს ათი დღის განმავლობაში ორმოცი გრამი საზარინი, მაგრამ ცხოველი სრულიად უვნებლად განაგრძობდა არსებობას. ყველაფერი ეს საზარინის დადებით თვისებათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რაც შეეხება როგორც საკვებ მასალას ის უვარგისია, ორგანიზმიდან საზარინი გამოდის სრულიად უცვლელათ, შაქარში კი ბევრია უგლევოდები, რომელიც ორგანიზმის ერთ-ერთ საკვებ მასალათაგანია.

საექიმო მიზნით საზარინს აძლევენ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის ორგანიზმი განიცდის ქონის დიდ ინფილტრაციას, რადგან ამ შემთხვევაში შაქრის მიცემა უფრო გააძლიერებდა ქონის მომატებას. აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიტანოთ თითქოს საზარინი თავის პირდაპირი მოქმედებით ამცირებდეს ორგანიზმს. შეგვიძლიან ავადმყოფს არც შაქარი მივცეთ და არც საზარინი, მაშასადამე უშაქრობით ნაკლები უგლევოდები და ჩვენ ვიცილებთ ქონის მოკლებას, მაგრამ ავადმყოფს რომ შევუნარჩუნოთ პირის გემო სიტკბოს სახით, ვაძლევთ საზარინს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ წმინდა საზარინს აქვს მჟავე რეაქცია, რითაც სუსტდება კუჭში და სანერწყვე ჯირკვლების სეკრეტის გამოჟონვა, რაც რა თქმა უნდა ცუდათ მოქმედებს საკვების ნორმალურ გადამუშავებაზე, მაგრამ ამ გარემოებას შველიან საზარინზე სოდის მიმატებით. ბაზარზე გასასყიდ საზარინში ბლომადაა სოდა.

ნათქვამიდან დასკვნა შემდეგია: შაქრის არ ხმარებით ჩვენს ორგანიზმს აკლდება ნაწილი საკვები მასალისა, საზარინი კი ვერ ასრულებს ორგანიზმისათვის შაქრის მოვალეობას, მაგრამ ის თავის თავათ. მავნებელი არაა.

პ. შუშანია.

წითელ რესპუბლიკებში.

საქართველო.

ამხ. ფ. მახარაძე ბორჯომში.

ბორჯომი, 23 ივლისი 22 ივლისს ბორჯომში ჩამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომლის თანხლებით 22 და 23 ივლისს შესდგა პარტიულ ორგანიზაციისა და საბჭოთა დაწესებულებების უფროს წარმომადგენელთა თათბირი სხვა და სხვა დაწესებულებათა ურთიერთი დამოკიდებულების გამწვავებისა და ბორჯომის სახალხო მამულის მართველობის საკითხის მოსაგვარებლად. ამხ. ფ. მახარაძე ცხოველ მონაწილეობას იღებდა თათბირში და იძლეოდა რჩევებს და განმარტებებს დასახელებულ კითხვებზე.

23 ივლისს ამხ. ფ. მახარაძე გაემგზავრა ტფილისს.

წყალსადენი სოფლად.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს საქართ. გაყავს წყალსადენი გოგლიაურის წყაროებიდან კანავას სახალხო [illegible] მამულში (ყოფილი ფრიდონოვისა, თბილისის მაზრა). სმეტა წყალსადენის გაყვანისა შედგენილია ინჟინერ ქურდიანის მიერ და შესდგება 10.000 მანეთისგან ამას წინა დროინდელი ფასით.

რუსეთი.

სამაგალითო ფაბრიკა.

მოსკოვი, 24 ივლისი. პეტროგრადში გაიხსნა ახალი სამკერვალო ფაბრიკა, მოწყობილი ამერიკული სისტემით და გაკეთებული ამერიკული ტექნიკით. ფაბრიკა მოაწყვეს ამერიკიდან დაბრუნებულმა მუშებმა.

თესვის კომპანია.

მოსკოვი, 24 ივლ. საბჭოთა ყრილობამ დაადგინა გეგმა მრავალი საზამთრო მინდვრების დასათესად, რომლის ზომა უნდა უდრიდეს 1,098.000 დესიატინას. თესვის პირობები მიმდინარე წელს უკეთესია ვინემ შარშან. თესლის ნაკლოვანება არ არის. გლეხებს სურს გაადიდონ სათესი მანძილი.

ვოლგის სანაპირო გლეხების ხმა.

მოსკოვი. 24 ივლისი. (რადიო). ვოლგის სანაპირო გლეხობა ამბობს: ჩვენს ახალგაზრდობას არ შეეძლო მთლიანად გლეხურ მუშაობას მიყოლოდა და სამოქალაქო ომისგან შერყეული სახალხო მეურნეობა აღედგინა, იგი საბჭოთა რესპუბლიკას იცავდა მემამულეებისაგან და [illegible]. გაჭირვებაში დაგვეხმარეთ ჩვენ, ჩვენ კიდევ არა ერთხელ დაგიხსნით თქვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში არა მარტო ჩვენ გვექნება საქმე ცუდათ, არამედ თვით თქვენც ვერ მიიყვანთ თქვენს მუშაობას მამულ კაპიტალისტებზე სრულ გამარჯვებამდე.

პეტროგრადი დამშეულ ბავშვებს ეხმარება.

მოსკოვი. 24 ივლისი. (რადიო). პეტროგრადის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა პეტროგრადის გუბერნიის ბავშვთა დაწესებულებებში მიიღონ ვოლგის სანაპიროს 2000 ბავშვი.

მცხოვრებთა დახმარება.

მოსკოვი. 24 ივლისი. (რადიო) პეტროგრადის მცხოვრებთა კავშირმა დაადგინა: ერთი თვის განმავლობაში თავის ულუფიდან დამშეულთა სასარგებლოდ ნახევარი გირ. პური გადადოს.

ვისაც რით სურს.

მოსკოვი. 24 ივლისი. (რადიო) პეტროგრადის საბჭოთა დაწესებულებათა მოსამსახურეებმა დაადგინეს: ყოველ თვიურ შრომის ხელფასიდან დამშეულთა სასარგებლოთ გადასდონ ნაწილი ფული.

ბრძოლა გვალვასთან.

მოსკოვი. 24 ივლისი. (რადიო). დაუყოვნებლივ გაჩაღებით უფართოესი კომპანია საერთო ლოზუნგით: გადავარჩინოთ რა ვოლგის სანაპირო ამით გადავარჩენთ საბჭოთა რუსეთს. იმოქმედეთ შემდეგ მოცემულობით: ვოლგის სანაპირომ 1917 და 18 წლ. მოგვცა 30 მილიონი ფუთი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ შეგროვილი 11 მილიონ ფუთზე მეტია, რაც შეადგენს 38 პროც. 1918 და 19 წლ. 120 მილიონიდან 66 მილიონი, რაც შეადგენს 59 პროც. 1920-21 წ. 287 მილიონიდან 65 მილიონამდე. სულ 3 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ შეაგროვა 640 მილიონი, რომლის რაოდენობა ახლა დამშეულმა ვოლგის სანაპირომ მოგვცა 230 მილიონი. გასულ წელს ვოლგის სანაპიროს მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო, ზოგ ზოგ ადგილას ცუდი. გლეხებმა შეაგროვეს ყოველიფერი, რაც მათ ჰქონდათ და გადასცეს საბჭოთა ხელისუფლებას თავის უკანასკნელი 65 მილიონიც თავის პურით ვოლგის სანაპიროს გლეხებმა გადაარჩინეს საბჭოთა ხელისუფლება თეთრ-გვარდიელებისაგან უკანასკნელ ნგრევის დროს. მეტად უმწვავეს მომენტში იგინი ჰკვებდნენ ხშირ მუშებსა და წითელ არმიელებს. ვოლგის სანაპიროს გლეხების უშუალოდ ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით. ახლა ვოლგის სანაპირო დამშეულია, მას არ აქვს სათესლე პურიც კი, თუ ჩვენ თავის დროზე მათ არ აღმოვუჩინეთ დახმარება, ისინი დიდ ხანს გამოვლენ მწყობრიდან [illegible] ჩვენ დავკარგავთ ჩვენს [illegible]. ვოლგის სანაპიროს გლეხებმა 3 ჯერ გადაარჩინეს საბჭოთა რესპუბლიკა, ყოველივეს მიცემით თუ რაც ჰქონდათ. საბჭოთა რესპუბლიკა მოვალეა ვოლგის სანაპიროს გლეხებისა. ახლა გადავუხადოთ მისი ვალი, როდესაც ვოლგის სანაპირო დაღუპვის კიდეზეა. ყველა, როგორც ერთი კაცი, უნდა გავეშუროთ ვოლგის სანაპიროს დასახმარებლად.

საწვავ მასალის კრიზისი.

მოსკოვი, 24 ივლისი (რადიო) წერილი ს. რ. ც. აღმ. კ. პრეზიდიუმისა ყველა ხაზ აღმ. კ. ცირკულიარულად. ყველა მიღებულ ცნობების თანახმად რესპუბლიკა სდგას უკანასკნელად მძიმე საწვავ მასალის კრიზისის წინაშე, სარკინიგზო მოძრაობის სრულ [illegible] წინ შე. უმთავრესად შეშის ტექნიკურად გადაზიდვის შესუსტების წყალობით. წინდახედულ და გამოცდილებით გატარებულ ზომებით; მიმართული შეშის ეკონომიკურ სამუშაოებით გამოზიდვისაკენ, შესაძლებელია კრიზისის შემსუბუქება. მრავალი ცნობები ადგილებიდან ჰმოწმობენ არა სათანადო ყურადღებას სოფლის მეურნეობის გაჭირვებისადმი, რის წყალობითაც შეიქმნა ნიადაგი მოსახლეობის შორის უკმაყოფილებისა. [illegible] შრომისა და არატექნიკურ ბეგარის გაძლიერებისა ხალხთან ბოროტმოქმედობენ მუშაობის ნორმის გადიდების პრინციპით ხშირად კი ებრძვიან საშუალების მოშობის ფაქტიურ შესრულებას. იშვიათად ხდება დარღვევა და ბოროტმოქმედობა შრომის ხელფასის ანაზღაურებაში, ფულით იქნება იგი თუ ნატურით.

არაა სათანადო პასუხის მგებლობა არატექნიკურ ძალთა არა ნაციონალურ გამოყენებაში, რის წყალობითაც გაუთავებელია უკმაყოფილება. ყოველივე ეს ნდობას უკარგავს საბჭოთა ხელისუფლებას სოფლის მოსახლეობაში; არღვევს ნაყოფიერებას შრომისა და არა ტექნიკურ ბეგარისა. ყოველივე ამის გამო ს. რ. ც. აღ. კ. წინადადებას აძლევს ყველა, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომისა და არატექნიკურ ბეგარის საკითხს, დაწესდეს სისტემატიური ზედამხედველობა, შეუფარდდეს მუშაობა სოფლის მეურნეობის ძირითად გარემოებასთან, შეიტანილ იქნეს სათანადო შესწორება დაქვემდებარებულ ორგანოთა მოქმედებაში, რის გამოც შრომის განყოფილებით და სასოფლო სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით დაწესდეს განსაზღვრული ნორმა არატექნიკურ ბეგრისა. (დასასრული არ მიგვიღია).

საერთო დახმარება.

მოსკოვი. 24 ივლისი (რადიო). (დასაწყისი არ მიგვიღია)... სრ. რ. ც. აღ. კ. შეიქმნა (გამოშვებულია).. კერენსკის კაბინეტის მინისტრის ამხანაგის კიშკინის, პროკოპოვიჩის, კოოპერატორ კოროვლოვის და რიგი პროფესორთა, ექიმთა და მეცნიერთა. ესენი არ არიან მომხრენი საბჭოთა ხელისუფლებისა, მაგრამ ცნობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთად ერთი ძალაა, რომელსაც შეუძლიან ქვეყნის გადარჩენა და დახმარების აღმოჩენით შიმშილისა და [illegible] თავიდან აცილება არა პოლიტიკისათვის არამედ საქმიან. მუშაობის წარმოებისათვის არიან ისინი მოწვეულნი. ამის გამო თეთრ-გვარდიელები გამოთქვამენ სიხარულს ჰხსნიან რა მას პოზიციის დათმობით. მაგრამ მუშათა კლასის შეგნებით ამგვარი სიხარული შეუძლებელია. მუშათა ხელისუფლებამ მუშაობასთან მიუშვა ყველა ის, ვისაც სურს ბრძოლა ნგრევასა და შიმშილთან. მას არ ეშინიან, რომ ეს ყოველთვის არაა პარტიის ინტერესებისათვის იგი თავის თავს საკმარისად ღონიერად სთვლის რომ არ შეეშინდეს მათი მუშაობაში მოწვევისა. საყურადღებოა უბედურება იმაში, ქვეყანა დარჩა არა განკურნებული, არამედ უფრო [illegible] და შედუღებული. დეე ყოველმა მოქალაქემ სინიდისიერად აწარმოოს თავისი მუშაობა, დეე მუშა ნუ [illegible] დახვავზე, დეე გლეხებმა დაუყოვნებლივ გადაიხადონ სასურსათო გადასახადი, დეე, ინტელიგენტმა—საბჭოთა მოსამსახურემ უარყოს სიზარმაცე და კანცელიარობა; კერძო ბურჟუა უნდა გამოეხმაუროს ორგანიზაციულ საერთო დახმარების ხმას.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

ანტიფრანგული მოძრაობა.

ლონდონი. 23 ივლ. „დეილიმეილის" ცნობით საფრანგეთის ჯარის შესვლისას აახენში მოხდა მტრული დემონსტრაცია. დაჭრილია ერთი ჯარისკაცი. ლემბერგში და რომბურგში ბრბო დაეცა ესკორტს, რომელთაც მიჰყავდათ ტყვეები და გაანთავისუფლეს უკანასკნელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 17

ორგანო საქართველოს ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

ემზადეთ ყრილობისათვის! სრულიად საქართველოს ყრილობა ეს უმაღლესი ორგანოა მთელ საქართველოში. პირველი ლეგალური ყრილობა საფუძველს ჩაუყრის ჩვენს კავშირის მუშაობას საქართველოში. ყრილობა თავდება ჩვენი გაძლიერების და განვითარების, მთელი ჩვენი ენერგია მისი მოწვევისათვის.

ემზადეთ ყრილობისათვის

წინა ფურცელში მოთავსებული იყო წერილი სრულიად საქართველოს ყრილობის შესახებ.—ყრილობა მოწვეულია 20 აგვისტოსათვის დრო უკვე მოახლოვდა და ბევრ მაზრებში კიდევ არ არის სამზადისი მუშაობა დაწყებული. თუ ყველამ არ მიაქცია შესაფერი ყურადღება ამ საკითხს, ყრილობა მოლოდინს ვერ გაამართლებს. ამხანაგებო ყრილობისათვის მზადება შეადგენს დღეს ჩვენთვის არსებითი საკითხს და მთელი ჩვენი ენერგია მას უნდა მოვანდომოთ. ყრილობის მოწვევის და მისთვის სამზადისს მუშაობის საწარმოოთ ყველა მაზრებმა იციან ტეხნიკური მხარეები. მაგრამ არ კმარა მარტო ტეხნიკურათ მოწყობა, წარმომადგენლების არჩევა და სხვა. საჭიროა მის გარშემო იდეიური მუშაობა, საჭიროა ჩატარება პროპაგანდის, ყველა მაზრებში, ყოველ იაჩეიკაში უნდა გარჩეულ იქნას ყრილობის დღის წესრიგი, მისი მნიშვნელობა საქართველოს ახალგაზრდობის მოძრაობაში. პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებებს ევალებათ მოკრიბონ ყველა ძალები და შეუდგენ ამ მუშაობას. ამხანაგებო გახსოვდეთ, რომ ჩვენი ლოზუნგი დღეს არის ყრილობის მოწვევა.

ყრილობის მომწვევი კომისია.

გაამაგრეთ კავშირი

ამხანაგებო, პერერეგისტრაცია და სამაზრო კონფერენციები თითქმის მთელ საქართველოში თავდება. ორგანიზაციების გაწმენდა ცოტათ თუ ბევრათ შევძელით, კონფერენციებსაც ვათავებთ. ეხლა შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციები შესაფერათ მოწყობილია მაგრამ არ კმარა მარტო აპარატების აწყობა. ეხლა ჩვენს წინაშე წამოჭრილია საკითხი ამ ორგანიზაციების გამაგრების. ჩვენ წინაშე დგება საკითხი რა უნდა ვქნათ აწი? ეს კი სერიოზული საკითხია და მოითხოვს დიდ ყურადღებას. იმ იაჩეიკებში, რომლებიც ჩვენ უკვე გვაქვს უნდა გაჩაღდეს მუშაობა, უნდა მივაწვდინოთ მათ იდეიური ძალა. სულიერი საზრდოს მიწვდენა იაჩეიკებისათვის, აი რა უნდა ახსოვდეს დღეს ყოველ ორგანიზატორს. ამ მუშაობის გაჩაღებისათვის საჭიროა ხელმძღვანელ ორგანოებმა მობილიზაცია უყონ ყველა ძალებს და გადაისროლონ ამ მუშაობაში. ადგილებზე უნდა გამომუშავდეს გეგმა იაჩეიკებში სამუშაოთ. თუ დღემდი არ იყო იაჩეიკებში ასეთი მუშაობა, აწი მიუტევებელ ცოდვათ ჩაითვლება უმისოთ წინსვლა. ამხანაგებო უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი კავშირი სკოლაა. მაშასადამე იაჩეიკებში მეცადინეობის გაჩაღება ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხია. გაამაგრეთ კავშირი.

ბრძოლა ეპიდემიის წინააღმდეგ

იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას ერთის მხრით ემუქრება ეკონომიური კრიზისი და მთელი ჩვენი ძალღონე ამ კრიზისის დაძლევისაკენ უნდა იყოს მიმართული, თვალწინ გვიდგება მეორე უფრო საშინელი სენის აჩრდილი, რომელიც განადგურებას უქადის კაცობრიობას. ეს მოვლენა ფრიად სახიფათო და დამაღონებელია. მაგრამ შეუდრეკელი, მრავალ გაჭირვების გამომცდელი მშრომელი ხალხი, არავითარ მოვლენის წინაშე გულზე ხელებდაკრეფილი არ დადგება და ზესთა ბუნების შველას არ დაუწყებს ცდას. ისინი, როგორც სხვა ისე ამ გასაჭირიდგან თავდადებული მუშაობით გამარჯვებული გამოვლენ. საჭიროა სენის წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღება მანამ, სანამ ის არ მოდებია ყველა ქალაქებსა და სოფლებს. ამ საქმეში ახალგაზრდობას დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული. შეიძლება ზოგიერთ ამხანაგებს გაუკვირდეს და იკითხოს, რა გვევალება ჩვენ ამ საქმეში? ჩვენ ხომ ექიმები არა ვართ, რომ სენის მოსპობა შევძლოთ? მართალია ექიმები არა ვართ, მაგრამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი მაინც შეგვწევს. ის გამოწვეულია სხვა და სხვა უსუფთაობის გამო და თუ ამ უსუფთაობას მოუღებთ ბოლოს, სენიც თავის თავათ გაქრება. ამიტომ ახალგაზრდა კომკავშირელებმა ყველა ქალაქებსა და სოფლებში იკისრონ შაბათობის და კვირაობის მოწყობა და გაასუფთაონ იმ სიბინძურისაგან, რომელიც არის მიზეზი სენის წარმოშობისა. კომუნისტური ახალგაზრდობა უნდა დაირაზმოს ამ ფრონტზე შესაფერისი იარაღით და უფროს ამხანაგებთან ერთად შეუდგენ მუშაობას. ასეთი ნაყოფიერი შრომით დიდ ვალსაც მოვიხდით და გამარჯვებულიც გამოვალთ.

გ. ხუნდაძე.

სამხედრო-სასპორტო მუშაობა

უკვე მეხუთე თვე გადის მას შემდეგ რაც ახალგ. კომკავშირი იატაკქვეშიდან გამოვიდა და ლეგალურ მუშაობას შეუდგა და თითქმის ყოველ დარგში თავის მუშაობისა დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. ფართო ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად გადაჭრილ იქმნა და პრაქტიკულათ ტარდება ცხოვრებაში პოლიტ განმანათლებელი მუშაობათ ეკონომიურ-უფლებრივი და სხვა. მხოლოდ ერთ დარგს ჩვენი მუშაობისას დღემდე არ ეღირსა ხეირიანად დაყენება. ეს არის სამხედრო-სასპორტო მუშაობა. მიუხედავათ იმისა რომ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში არის ფართო ასპარეზი მუშაობის წარმოებისა, რომ არსებობს მრავალი სასპორტო და სავარჯიშო საზოგადოებანი რომ ახალგაზრდობას დიდათ აინტერესებს ეს დარგი, საქმე მაინც არ წაიწია წინ. მართალია ც. კ. პლენუმმა დაადგინა უმთავრესი ყურადღება მუშაობის დროს სხვა დარგებს მიაქციოს, მაგრამ იმავე დროს ფიზიკურ აღზრდასაც უნდა მიეცეს ჯეროვანი ყურადღება. კომკავშირი უნდა შევიდეს ყოველ სასპორტო და სავარჯიშო საზოგადოებებში. უნდა მოეწყოს მთელი რიგი ექსკურსიებისა, რომლებსაც სულ სხვა ელფერი უნდა ჰქონდეს ვიდრე ეხლა; აქვს წმინდა სპორტიული მუშაობა შეერთებული უნდა იყოს, პოლიტ-განმანათლებელ მუშაობასთან ერთად. საჭირო არის რაც შეიძლება საჩქაროდ მიექცეს ყურადღება ამ დარგის მუშაობას, მით უმეტეს, რომ ზაფხულობა უკვე მიდის, სასპორტო მუშაობა კი მხოლოდ ზაფხულში შეიძლება დავაყენოთ შესაფერ დონეზე.

გახრკო.

პარტიული ცხოვრება

ლეჩხუმის მაზრა.

ქ. ცაგერში გაიხსნა ლეჩხუმის მაზრის კომუნისტურ ახალგაზრდობის პირველი ლეგალური კონფერენცია. დაესწრო 23 დელეგატი. კონფერენციის გახსნისას მუსიკამ შეასრულა „ინტერნაციონალი" კონფერენცია გახსნა ამხ მ. ბახტაძემ, რომელიც მიესალმა მას ცენტრალური კომიტეტის სახელით და აუხსნა დელეგატებს ამ ყრილობის დიადი მნიშვნელობა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს წარმომადგენლებმა: პარტკომიდან, რევკომიდან, საგანგებო კომისიიდან და კომრაზმიდან.

კონფერენცია ჩატარდა სასურველად. ყველა დელეგატები საკმაოდ კმაყოფილი დაბრუნდენ თავ თავიანთ ადგილებზედ მუშაობა ლეჩხუმის მაზრაში თანდათან ცხოველდება, იაჩეიკების კრებები ხდება სისტემატიურათ. ახალგაზრდობის ინიციატორობით იმართება შაბათობა ქვრივ ობლების სასარგებლოთ. ქ. ცაგერში დაარსდა ტანთ ვარჯიშობის წრე, რომელშიც მშრომელი ახალგაზრდობა დიდი სურვილით ეწერება. სამაზრო კომიტეტთან არსებობს განყოფილებები, მას ჰყავს აგრეთვე პასუხისმგებელი კორესპოდენტი. პერერეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აღდგენილ იქნა რამდენიმე ორგანიზაციები, რომლებიც ჯერჯერობით რჩებიან მხოლოთ კულტურული ორგანიზაციები. სამაზრო კომიტეტს განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში დააარსოს ორგანიზაციები სოფ. ლაშხეთში, და ლენტეხში ქვემო სვანეთში, სადაც ჯერ არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია არ ყოფილა.

სენაკის მაზრა.

სამაზრო კონფერენცია

რაიონული კონფერენციების ჩატარების შემდეგ თანახმად სამაზრო კომიტეტის დადგენილებისა მოწვეულ იქნა სამაზრო კონფერენცია 15 ივლისს.

კონფერენციას დაესწრო შვიდი რაიონის, ორმოცდა შვიდი იაჩეიკის წარმომადგენელი 80 ცამდე; დაესწრო აგრეთვე სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი, და რევკომის თავმჯდომარე. კონფერენციის გახსნისთანავე ითქვა რამდენიმე მისასალმებელი სიტყვები, რის შემდეგ შეუდგენ საკითხების გარჩევას. 1) მიმდინარე მომენტი, რომელზედაც ფართეთ მოხსენება გააკეთა ამხ. მამულიამ. მან მკაფიოთ დაასურათა აღმოსავლეთის საკითხი, და ჩვენი პოლიტიკა ევროპის მიმართ და სხვა.

2) სამაზრო კომიტეტის მუშაობა სამაზრო კომიტეტის მუშაობა კონფერენციის გააცნო ამხ. დავით კაჭარავამ—რის შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია ვინაიდან სამაზრო კომიტეტს ქონია ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები მას არ გაუკეთებია იმდენი რამდენიც შეიძლებოდა (დასაკმაყოფილებელი).

3) მოხსენება ადგილებიდან. მოხსენება გააკეთეს თითეული რაიონის პასუხის მგებელ მდივნებმა და გამოირკვა რომ მუშაობა ყველგან სისტემატიურად მიმდინარეობს, ძალიან სინაკლულეს განიცდიან სურსათ სანოვაგის მხრივ.

4) ცეკას მოხსენება. ვინაიდან არ იყო ც. კ. წარმომადგენელი არ ყოფილა,

5) ორგანიზაციული.

6) პოლიტიკურ განმანათლებელი.

7) ეკონომიურ უფლებრივი.

8) სამხედრო-სავარჯიშო მუშაობის შესახებ მოკლედ იქნა გაკეთებული მოხსენებები, გამოირკვა შემდეგი: ეკონომიურმა მუშაობამ, სამხედრო სავარჯიშომ და ორგანიზაციულ საკითხებმა სრულიად დააკმაყოფილა კონფერენცია. მხოლოდ რაც შეეხება პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას ძალიან სუსტად დგას ვინაიდან პოლიტ.-განმ. გამგეს არ გამოუჩენია უნარი რომ მოეწყო შეძლებისადაგვარად თავისი განყოფილება, გამოირკვა რომ არც ერთი რაიონებს და მით უმეტეს იაჩეიკებს არ აქვთ საშუალება ლიტერატურის მხრივ რათაც შესძლოს განვითარება, კონფერენციამ ეს მიაწერა პოლიტ. განმ. გამგის გულგრილობას.

9) სამაზრო კომიტეტის არჩევა. თითეულად დახასიათებული იქნა ყველა ძველი სამაზრო კომიტეტის წევრები და შემდეგ არჩეული იქნა ახალი სამაზრო კომიტეტი (4 ძველი და 3 ახალი).

ყოველივე ამის შემდეგ ითქვა რამოდენიმე სიტყვები და უსურვეს ახალ სამაზრო კომიტეტებს ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობა.

ტყიბულის რაიონი.

ტყიბულის რაიონში არსებობს ოთხი იაჩეიკა. წევრთა რიცხვი შეიცავს 200 წევრს და 76-ტი თანამგრძნობლებს. სამი იაჩეიკა არსებობს თვით მაღაროებში და ერთი სოფ. სამტრედიაში. იაჩეიკების მეცადინეობა მიმდინარეობს კვირაში ორჯერ. ერთჯერ კი საერთო კრება მთელი რაიონის.

არსებობს ეკ. უფ. და პოლიტ. განმანათლებელი განყოფილებები. ოთხი და ექვსი საათის სამუშაო დღე ჯერ არ გატარებულა, მაგრამ ვცდილობთ, რომ გავატაროთ. აგრეთვე ვცდილობთ, რომ მთელ რაიონში დავაარსოთ ყოველ სოფელში იაჩეიკა.

ახალგ. მუშა

სიღნაღის მაზრა

მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა ენერგიულათ სწარმოებს მუშაობა. სამხედრო ვარჯიშობა ზოგ სოფლებში უკვე მოწყობილია, ჯერ-ჯერობით მეცადინეობა უბრალოთ სწარმოებს. პოლიტ განმანმა სულ ცოტა ხანია რაც მუშაობა დაიწყო, მაგრამ უნდა ითქვას რომ მოასწრო ბევრის გაკეთება: ლექციები რაიონებში იკითხება, მიეცათ ცირკულიარული დეპეშა ყველა რაიონებს სისტემატიურათ აწარმოონ პოლიტიკურ საკითხების გამაშუქებელი ლექციების კითხვა, აგრეთვე წაკითხულ იქმნას ლექციები: გიგიენაზე, აგრონომიაზე და მოეწყოს საკვირაო სკოლები კომკავშირის წევრთათვის და სკოლის გარეშე დარჩენილ ახალგაზრდა გლეხებისათვის. ცნობებია, რომ ზოგ რაიონებში უკვე მოუწყვიათ ლექციების კითხვა და სათანათო სიმაღლეზე დაყენებულია პოლიტ განმანის საქმე. სუსტობენ მარტო კოდალოს და ლაგოდეხის რაიონები, მაგრამ იმედია სამაზრო კომიტეტი გამოაფხიზლებს ამ რაიონებსაც.

„კოტე".

სამაზრო კონფერენცია შორაპნის მაზრაში

12 ივლისს ქ. ზესტაფონში მოხდა შორაპნის მაზრის ახალ. მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის სამაზრო კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრო წარმომადგენლები ხუთ რაიონიდან: ქიათურიდან, საჩხერიდან და შორაპნიდან, რიცხვით ოცდა ხუთი კაცი.

კონფერენცია გაიხსნა დილის 10 საათზე და გაგრძელდა საღამოს 10 საათამდე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მომენტზე, 2) მოხსენება ადგილებიდან. 3) მოხსენება ცეკადან. 4) მოხსენება სამაზრო კომიტეტიდან. 5) ორგანიზაციული მუშაობა. 6) სამაზრო კომიტეტის არჩევნები. 7) პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობა.

კონფერენციის გახსნისას მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. ბედიამ ცეკადან და ამხ. ლაბაძემ სამაზრო კომიტეტიდან.

მოხსენება მომენტზე გააკეთა ამხ. ბედიამ და აგრეთვე გააკეთა მოხსენება ცეკადან. მოხსენება სამაზრო კომიტეტიდან გააკეთა ამხ. ნიკოლავამ. ორგანიზაციულ მუშაობაზე და პოლიტიკურ განმანათლებელზე ილაპარაკა ამხ. შედამ, რომელმაც ვრცლათ გააცნო დამსწრე ამხანაგები ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმანათლებელ დარგში მუშაობას.

შემდეგ მოხდა სამაზრო კომიტეტის არჩევნები. არჩეულ იქნა კომიტეტში ხუთი კაცი.

კონფერენცია დაიხურა საღამოს 10 საათზე ინტერნაციონალის ჰიმნით.

კავკასიის საოლქო თათბირი დამთავრდა

კავკასიის საოლქო თათბირმა დაამთავრა მუშაობა 18 ივლისს. გადაწყვეტილია, პირველ სექტემბერს მოწვეულ იქნას კავკასიის საოლქო ყრილობა ახალგ. კომკავშირების. ყრილობა მოწვეულ იქნება ქ. ბაქოში. წარმომადგენლებს გზავნის ყველა კავშირები. ნორმა წარმომადგენლობისა არის 100 დან 1 წარმომადგენელი.

საქართველოს კავშირი გაგზავნის სრულიად საქართველოს ყრილობიდან.

ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესი

მეორე კონგრესი გაიხსნა მოსკოვში 9 ივლისს. კონგრესს დაესწრო 150 დელეგატი. წარმოდგენილია 800,000 ორგანიზაციულათ შეკავშირებული ახალგაზრდა. კონგრესი გახსნა ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანმა მიუნცენბერგმა. რუსეთის ახალგაზრდობის სახელით კონგრესს მიესალმა ლაზარე შაცკინი.

მერვე სხდომაზე კომინტერნის კონგრესზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ტროცკი, რომელიც ეხება კომინტერნის მუშაობას და ამბობს: „საბოლოოთ გადაწყვეტა კომუნიზმის ამოცანების შეიძლება არც თქვენ თაობას მოუხდესო".

ცირკულიარულად

ცნობა ყველა სამაზრო კომიტეტების პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებებს.

ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკურ განმანათლებელი განყოფილების კოლეგია წინადადებას გაძლევთ, ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოთ დაწვრილებითი ცნობები თქვენი მუშაობის შესახებ. ცნობები უნდა იყოს აღნიშნული შემდეგი: საერთო ხასიათი მუშაობის, კლუბების და სამკითხველო-ქოხების რაოდენობა, არსებობს თუ არა პარტსკოლები და გვაქვს თუ არა ამ სკოლებში სექციები, დრამატიულ წრეების რაოდენობა ადგილების აღნიშვნით, სად არსებობს ეს წრეები, არსებობს თუ არა წრეები კლუბებში ან რა წრეები არსებობს, ეწყობა თუ არა ექსკურსიები, რამდენი წერა-კითხვის უცოდინარი წევრი გვყავს მთელ მაზრაში ადგილების და წლოვანობის აღნიშვნით ე. ი. სად და რამდენ წლიანები არიან ასეთები.

შენიშვნა: წერაკითხვის უცოდინართა რიცხვის გამორკვევა ასე ცოტა ხანში არ შეიძლება, შეგიძლიათ წარმოადგინოთ 5 აგვისტომდე.

რომელ ქალაქში ან სამაზრო ცენტრში შეიძლება წერაკითხვის სკოლის გახსნა ეხლავე და რამდენი მოსწავლე იქნება, მასთან ერთად პირობებიც უნდა აღინიშნოს მეცადინეობის, რომელ ქალაქში შეიძლება პოლიტ. კური სკოლის გახსნა, როდის, საკუთარი ძალების და მოსწავლეთა რიცხვის აღნიშვნით.

საჩქაროთ უნდა მოხდეს აღწერა ყველა მომზადებული ძალების მთელ მაზრაში, მათი რიცხვის, ადგილის და მომზადების ხარისხის აღნიშვნით.

ყველა პოლიტიკურ განმანათლებელი განყოფილებები ვალდებული არიან ეს წინადადება დაუყოვნებლივ ყოველგვარ მიზეზს გარეშე შეასრულონ, ეს დავალება დამკვრელი წესით უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

ცეკას პოლიტგანმანათლებელი განყოფილების კოლეგია.

ამერიკა

ვაშინგტონის კონფერენცია.

მოსკოვი. 24 ივლისის (რადიო). კონფერენციის პროგრამა არის: 1) საერთაშორისო შუღლის ასაცილებლად განიარაღების გატარება. 2) განიარაღების პრინციპის გავრცელება, რამდენათაც ეს შესაძლებელია, მხრჩოლავი გაზების უარყოფა 3) ღია კარების პრინციპის მოხმარება.

ამერიკა და იაპონია.

ლონდონი, 23 ივლისი (რადიო) ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ იაპონიის ელჩმა ჩრდილოეთ ამერიკაში განაცხადა იაპონიის მთავრობის სახელით, რომ ვაშინგტონის მთავრობამ მშვიდ-ოკეანის საკითხი უნდა გადაწყვიტოსო.

საფრანგეთი.

ახალი დამხმარე ძალები შემო-სილეზიაში.

ლონდონი. 23 ივლ. საფრანგეთის მთავრობამ აცნობა ინგლისს, რომ გერმანია დათანხმდა, დაეხმაროს სურსათის გადატანაში და გადაყვანაში საფრანგეთის დივიზიის, რომელიც ამ დღეებში საფრანგეთიდან შემო სილეზიაში გაემგზავრება.

ლატვია.

შემთანხმებლები პოზიციებს სთმობენ.

რიგა. 21 ივლისის (რადიო). ლატვიის პროფკავშირთა ცენტრალური ბიურო ლატვიის პროფკავშირთა ყრილობას იწვევს. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაადგინა დათმობის გზაზე წავიდეს კომუნისტებთან და ხელმძღვანელობის როლი პროფესიონალურ მოძრაობაში მათ დაუთმოს.

ნორვეგია.

ახალი გაფიცვის მოლოდინი ნორვეგიაში.

ქრისტიანია. 20, (რადიო) აგვისტოს 29 ნორვეგიაში სასოფლო-მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირთა ყრილობას იწვევენ საყოველთაო გაფიცვის საკითხის შესახებ.

შვეცია.

რუსეთთან ვაჭრობა სურთ

სტოკჰოლმი. 21 ივლისი, (რადიო) შვეციის მრეწველთა წრეები შეშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ შესაძლებელია რუსეთის ბაზარი ინგლისმა და გერმანიამ ჩაიგდოს ხელში. კომერციული წრეები დაბეჯითებით მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეკრან ხელშეკრულობა საბჭოთა რუსეთთან.

დანია

სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან.

ქრისტიანია. 20 ივლისი. (რადიო) დანიაში გამეფებულ მრეწველობის კრიზისი იწვევს დანიის მრეწველ წრეების მოთხოვნილებას, რათა დაიჩქარონ მოლაპარაკება დანიაში საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულობის დასადებათ.

ინგლისი.

ლოიდ ჯორჯი და უმაღლესი საბჭო.

ლონდონი. 20 ივლისი. (რადიო). „პტი პარიზიენის" ცნობით ლოიდ ჯორჯმა გადადვა თავის გამგზავრება შვეიცარიაში, რათა ამით შეამსუბუქოს კომპრომისი ლონდონსა და პარიზს შორის, შესახებ უმაღლეს საბჭოს მოწვევის საბოლოო დანიშნულებათა დამტკიცებისა. ფრანგულ და ინგლისურ გაზეთების ცნობით უმაღლეს საბჭოს მოწვევა დანიშნულია აგვისტოს 18-თვის.

იტალია.

იტალია და რუსეთი.

რომი. 23 ივლისი. (რადიო). „მესაჯერო"ს ცნობით დელლა-ტორეტამ იტალიის მინისტრთა საბჭოში წარადგინა იტალიასა და საბჭოთა რუსეთს შორის კომერციულ შეთანხმებათა პროექტი.

ქრონიკა

◆ **სტუმრები ჩრდილოეთიდან.** თბილისიდან ამ დღეებში გაემგზავრა რუს. ს. ფ. ს. რეს. მთავარ სამმართველოს მილიციის წარმომადგენელი სამმართველოს უფროსის ამხ. კორნეევის მეთაურობით, რომელნიც გაეცნენ ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მილიციის ორგანიზაციის საქმეს.

◆ **მილიციის რევიზია.** რესპუბლიკის მუშა გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველომ დაამთავრა თბილისის გუბერნიის მილიციის რევიზია. შეუდგენ ქუთაისის გუბერნიის მილიციის რევიზიას. რევიზიას აწარმოებს მთავარ. სამმართველოს პოლიტიკური კომისარი ამხ. ტრაპაიძე.

◆ **თბილისის მილიციაში.** ქალაქ თბილისის მუშა-გლეხთა მილიციის უფროსი ამხ. ჩხეიძე ერთი თვით შვებულებაში წავიდა. ამხ. ჩხეიძის შვებულების დროს მილიციის გამგებლობა დროებით დაეკისრა ქალაქ თბილისის რევკომის კოლეგიის წევრს ამხ. ახვლედიანს.

— მესამე რაიონის უფროსი ამხ. არონიშიძე და [illegible], რაიონის უფროსის ამხ. ახვლედიანი თანახმად თხოვნისა გავიდნენ სამსახურიდან.

— პირველი რაიონის უფროსი ამხ. ელისაბედაშვილი გადაყვანილია მესამე რაიონის უფროსად და რაიონების უფროსთა მოვალეობის დროებითი ასრულება დაეკისრა მეექვსე რაიონისა—მეოთხე რაიონის უფროსის თანაშემწეს ამხ. მესხს, მეთორმეტისა კი—მეშვიდე რაიონის უფროსის თანაშემწეს ამხ. ჩახჩიძეს.

◆ **მანუფაქტურა, ფეხსაცმელი და ტანისამოსი საზღვარ გარეთიდან.** ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ რკინის გზათა გადამტვირთავ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. პ. გერმანმა გრუზროსტის თანამშრომელს აცნობა, რომ ივლისის 21 საზღვარ გარეთიდან ბათუმში ჩამოვიდა და იტვირთება გემი „პოლონია". ამ გემით ჩამოიტანეს 120 ვაგონის ტვირთი მანუფაქტურა ფეხსაცმელი და ტანისამოსი. ამ დღეებში კიდევ 5 გემს ელიან.

◆ **ცრუ ხმები.** ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ხმები გავრცელებული თითქოს სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში ყოფილიყოს შემთხვევები შავი ჭირის გაჩენისა, მოკლებულია ყოველივე საფუძველს, რაიც დაამტკიცა ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მიერ სომხეთში სპეციალურად ამ საკითხის გამოსარკვევად გაგზავნილმა კომისიამ.

◆ **თეატრის დახურვა.** თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა სახელმწიფო დრამის თეატრი დახურულია 1 ენკენის თვემდე. თეატრის ადმინისტრაცია შეუდგა თეატრის შეკეთებას და მომავალ სეზონისათვის მზადებას.

◆ **საბინაო განყოფილებაში.** საბინაო ქვე განყოფილების თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე კალანდარაშვილი განთავისუფლებულია სამსახურისაგან და მის ადგილზე დანიშნულა ამხ. ს. ფინია.

თეატრი და ხელოვნება.

რუსულ აკადემიურ თეატრის მოწყობა.

განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიურ ცენტრის გამგეს ამხ. დ. კანდელ[illegible] განკარგულებით შექმნილია [illegible] კომისია განათლების სახალხო კომისარიატის სათეატრო განყოფილების გამგის ამხ. ლადინის თავმჯდომარეობით რუსულ აკადემიურ თეატრის საორგანიზაციოდ, რომელიც დგება რუსულ დრამისა და საკამერო თეატრის დასთა შემადგენლობიდან. კომისიამ 1 კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს თეატრის რეორგანიზაციის პროექტი, გაერთიანებულ რუსულ დრამატიულ თეატრისა და საკამერო ქვეგანყოფილების დასის შემადგენლობა, განზრახული რეპერტუარი და სხვა. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

სახელმწიფო ოპერის თეატრი.

სახელმწიფო ოპერის თეატრის კომისარ ამხ. დადვაძეს თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა მომავალ საზამთრო სეზონისათვის რეპერტუარის შესამუშავებლად. თათბირს დაესწრნენ: მ. ბორდკინი, ა. წუწუნავა და სხვა.

„პავლე I".

თეატრ „ნოტე"-ში სამშაბათს ივლისის 26 წარმოდგენილ იქნება მერეჟკოვსკის ისტორიული დრამა „პავლე I". პავლე I-ს როლი დაეკისრა მსახიობ დუვსკის. შემდეგ წარმოდგენილ იქნება სკრიბის „ჭიქა წყალი".

სახალხო სახლი.

ივლისის 25-ს გორკის „მტრები"-ით დაიხურა სეზონი სახალხო სახლში არმიის პოლიტიკურ განყოფილებას განზრახული აქვს თავისი დასი მიავლინოს პროვინციაში გასამგზავრებლად.

3 ინტერნაც. სახელობის თეატრი.

შაბათს ივლისის 23, 3 ინტერნ. სახელობის თეატრში შესდგა დიდი სიმფონიური კონცერტი კავკასიის არმიის პოლიტიკური განყოფილების საქართველოს ორკესტრისა. განსაკუთრებულ ნაყოფიერებით შესრულებულ იქნა ჩაიკოვსკის მე-6 პათეტიური სიმფონია. ორკესტრს ხელმძღვანელობდა ტოლკმახი. კონცერტს დაესწრნენ წითელ არმიელთა ნაწილების მუშათა ორგანიზაციების და პროფკავშირების წარმომადგენლები. ბაღი და თეატრი გაჭედილი იყო ხალხით.

დღეს თეატრებში.

თავისუფ. თეატრი.—„თათულა ივანეს ძე" (სომხურ ენაზე) ც. მ. კლ. ახალი თეატრი—დიდი სიმფონიური კონცერტი. ც. მ. კ. 1) კინემატოგრაფი. 2) „ჟან-რუელ"-ი. 3 ინტერნ. სახელ. თეატრი.—კონცერტი. თეატრი „ნოტე"—პრემიერა „პავლე I". თეატრი წითელი აზრი—ლექცია კონცერტი. კარლ მარქსის სახელობის თეატრი—ლექცია კინო ნაძალადევის თეატრი.— კონცერტი ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის სახელობის თეატრი კონცერტი. ს. ქართ. კლ. საზაფხულო თეატრი—საღამო პოეტ რიურიკ ივნევისა. კონსერვატორია — იუროვსკის კონცერტი. ცირკი—სხვა და სხვა პროგრამა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 45.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა კლუბების სადგომთა და ინვენტარის პოლიტიკური განათლების მთავარი კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ.

1. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული, როგორც ამ ჟამად მომქმედი, ისე გაუქმებული კლუბების ყველა სადგომი—გამოუნაკლისად, აგრეთვე ის სადგომები, რომელიც გამოუყენება კლუბებისათვის სახელდობრ: თეატრებისა, შანტანებისა, რესტორანებისა, კინო თეატრებისა, იმისდა მიუხედავათ, თუ რა დაწესებულებას ან ორგანიზაციას უჭირავს იგი,—გადადის რესპუბლიკის პოლიტიკურ განათლებისა მთავარი კომიტეტის, ხოლო ადგილობრივად—მისი პროვინციული ორგანოების სრულ განკარგულებაში.

2. ყოველი დაწესებულება, ორგანიზაცია და კერძო პირი, რომელსაც აღნიშნული სადგომი უჭირავს, ვალდებულია პოლიტიკურ განათლების მთავარ კომიტეტის ან მის ადგილობრივ ორგანოს მოთხოვნილებისამებრ გადასცეს უკანასკნელთ შენობა ორი კვირის განმავლობაში.

3. აუცილებლად დაბრუნებულ უნდა იქნეს თავის ადგილას კლუბის მთელი ინვენტარი, წაღებული დაწესებულების, ორგანიზაციის ან კერძო პირის მიერ.

კლუბის მთელი ქურქლეულობა, იმ შემთხვევაშიაც-კი, თუნდ იგი შეადგენდეს ბუფეტის პატრონის კერძო საკუთრებას და გატანილ იყოს კლუბის შენობიდან, უნდა აღირიცხოს და მიეყიდოს მტკიცე ფასებში მხოლოდ კლუბს ან პოლიტ. განათლების კომიტეტს.

4. საბჭოთა კლუბების აღმშენებლობის სისტემის მცოდნე, კლუბის ყოველი მოსამსახურე, რომელსაც სჭირია ესა თუ ის საარჩევნო თანამდებობა ან შტატიანი ადგილი, აგრეთვე ყველა ის, ვისაც უმუშავნია აღზრდის სფეროში, პოლიტიკურ და პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლების დარგში და საორგანიზაციო—ადმინისტრატიულ ნაწილში: ხელმძღვანელად, ინსტრუქტორად, ლექტორად, მასწავლებლად ან სტუდიებისა და წრეების მონაწილედ, ვალდებულია აღირიცხოს, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, პოლიტიკურ განათლების მთავარ კომიტეტში, ხოლო ადგილობრივად—მის პროვინციულ ორგანოში.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

განათლების სახალხო კომისარი **ა. ზვანიძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე**

1921 წ. ივლისის 19.
თბილისი სასახლე.

ბრძანება № 13.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის 14 ივლისის 1921 წ. № 40 დადგენილებით სისრულეში მოსაყვანათ ვბრძანებ:

1. სახლის კომიტეტები (დომკომები) სახლის პატრონები, სახლის მოიჯარადრეები, მათი პასუხის მგებელი გამგეები და სადაც ასეთები არ არიან მათი მოადგილე ორგანოები კომენდანტები, ბინის დამქირავებლები და აგრეთვე სასტუმროების პატრონები, ვალდებულნი არიან ამის გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში აცნობონ სათანადო კომისარიატში მათ სახლებში და ბინებში მცხოვრებ იმ პირთა ვინაობა რომელნიც დაკავშირებულნი არ არიან ქ. თბილისთან მკვიდრი მოსახლეობით და ბ), რომელნიც თავისი ცხოვრების საშუალებას არა საზოგადოსასარგებლო შრომით ჰპოებენ.

2. ის პირნი, რომელთაც არ ეხებათ საქართველოს რევკომის ზემოაღნიშნული დადგენილება თბილისის განტვირთვის შესახებ და ამ გვარად უფლება აქვს ქ. თბილისში ცხოვრებისა, ვალდებულნი არიან ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა აიღონ პირობების მოწმობა სამსახურის და პროფესიის შესახებ იმ ორგანიზაციათა თუ დაწესებულებათა უფროსებისაგან სადაც იგინი მუშაობენ და წარუდგინონ ასეთი, როგორც სახლში, ისე ქუჩებშიც, მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომელთ და სარაიონო საკანტროლო კომისიებს.

3. ამ ბრძანების დამრღვევნი, ვინც კი ეს ბრძანება შეეხება და ჩამოთვლილნი არიან ამა ბრძანების პირველ მუხლში და აგრეთვე თანამდებობის პირნი და წარმოებების პატრონები წესს გარეშე გამცემნი მოწმობისა სასტიკ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი და დაისჯებიან რევოლიუციონურ დროის კანონებით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.

ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარე ს. [illegible]შვილი.

22 ივლისი 1921 წ. ქ. თბილისი.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5 - 58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღის ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

◆ საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

პარტიული

საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოთხე რაიკომის პრეზიდიუმი ამით აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ სამშაბათს 26 ივლისს. საღამოს 6 ს. მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა კლუბში (ვერის დაღმართი № 1) შესდგება საზოგადო კრება მეოთხე რაიონის წევრთა და მათ კანდიდატთა, დასწრება სავალდებულოა პარტიულ დისციპლინის მიხედვით. ამინდი თუ ხელს შეუშლის კრება შესდგება „სატირ აგიტის" თეატრში.

— მეოთხე რაიონის პრეზიდიუმი ამით აუწყებს მეოთხე რაიონის კომ. იაჩეიკების ყველა მდივნებს, რომ მიმდინარე წლის 30 ივლისს, უნდა წარმოდგენილ იქმნეს საანკეტო ფურცლები იაჩეიკების მუშაობის შესახებ. პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა მდივნებს, ორი დღის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, შეიარონ სარაიონო კომიტეტში [illegible] ბლანკების მისაღებად.

სხვა და სხვა

— დღეს, 26 ივლისს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახალხო კავშირის მუშაკთა კავშირის კომფრაქციის კრება კავშირის ც. კ. ბინაზე. კომპარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს ევალებათ პარტიული დისციპლინის ძალით შეიკრიბონ დანიშნულ დროზე.

დაიკარგა ქ. ხონსა და ბანძის შუა გზაზე პარტიული დროებითი მოწმობა მოცემული ბანძის რაიონის აღმნუსხველ კომისიის მიერ, მნახველს, როგორც ძლიერ საჭიროს ჩემთვის ვსთხოვ გამოგზავნოს. მისამართი ბანძა. ბანძის რაიონის კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციის წევრი ივლიანე სანაია.

თბილისში არსებულ კოოპერატივთა წევრებს საყურადღებოთ.

თბილისის და მისი მაზრის კოოპერატივთა კავშირი ამით აცხადებს, რომ კოოპერატივებს დაურიგდა საანკეტო ფურცლები, რომლის მიზანია კოოპერატივების რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხების გამორკვევა. ამიტომ კავშირი წინადადებას აძლევს წევრებს ორი კვირის განმავლობაში აუცილებლათ გამოცხადდენ თავ-თავიანთ კოოპერატივებში და შეავსონ აღნიშნული საანკეტო ფურცლები.

ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ-განმანათლებლის [illegible] განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000 ნ, დ. ს. [illegible] საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ., № 4.